**შპს ფორსთა**

**ფინანსური ანგარიშგება**
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**შინაარსი:**

**ფინანსური ანგარიშგებები**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება** ..... **3**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** ..... **4**

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება** ..... **5**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1.ზოგადი ინფორმაცია ..... 6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი ..... 6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 7
4. ამონაგები ..... 8
5. შრომის ანაზღაურება ..... 8
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი ..... 8
7. იჯარის ხარჯი ..... 8
8. ძირითადი საშუალებები ..... 9
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 10
10. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები ..... 10
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 10
12. საგადასახადო ვალდებულებები ..... 11
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 11
14. პირობითი ვალდებულებები ..... 12
15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... 13
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 17

**შპს ფორსთა**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

| | **შენიშვნა** | **2024** | **2023** |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 4 | 7,873,366 | 7,064,676 |
| შრომის ანაზღაურება | 5 | (6,034,291) | (5,501,971) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 6 | (289,829) | (278,218) |
| იჯარის ხარჯი | 7 | (516,752) | (500,630) |
| **საოპერაციო მოგება** | | **1,032,494** | **783,857** |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა | | 66,945 | (21,962) |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა | | 2,178 | 1,672 |
| **წლის სრული შემოსავალი** | | **1,101,617** | **763,567** |

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ დმიტრი მასტრიუკოვ

*6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

**შპს ფორსთა**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 29,418 | 4,092 | - |
| | | **29,418** | **4,092** | **-** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 9 | 624,705 | 508,154 | 213,907 |
| ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები | 10 | 2,613,376 | 1,420,066 | 283,106 |
| | | **3,238,081** | **1,928,220** | **497,013** |
| **სულ აქტივები** | | **3,267,499** | **1,932,312** | **497,013** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | |
| **კაპიტალი** | | | | |
| დაგროვილი მოგება | | 2,339,432 | 1,237,815 | 474,248 |
| | | **2,339,432** | **1,237,815** | **474,248** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 11 | 869,894 | 668,991 | 1,595 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 12 | 58,173 | 25,506 | 21,170 |
| | | **928,067** | **694,497** | **22,765** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **3,267,499** | **1,932,312** | **497,013** |

*6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია*

**შპს ფორსთა**

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

| | **დაგროვილი მოგება** | **სულ** |
|---|---|---|
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **474,248** | **474,248** |
| წლის სრული შემოსავალი | 763,567 | **763,567** |
| გაცემული დივიდენდი | - | **-** |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **1,237,815** | **1,237,815** |
| წლის სრული შემოსავალი | 1,101,617 | **1,101,617** |
| გაცემული დივიდენდი | - | **-** |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **2,339,432** | **2,339,432** |

*6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## 1.ზოგადი ინფორმაცია

შპს ფორსთა (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2022 წლის მაისში.

კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 402219050. კომპანია იურიდიულად რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩიტაიას ქუჩა, N38, ბინა N1; კომპანიის ფიზიკური მისამართია: ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ. 24.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურება.

2024, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

| | 31.12.2024 | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---|---|---|---|
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფორსთა ვორლდვაიდ, 4122071 /დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო/, ბლუ ფინ ბილდინგი, საუთვორქის ქუჩა N110 | 100% | 100% | 100% |

კომპანიის დირექტორები არიან დმიტრი მასტრიუკოვ (76 6157771) და ალექსანდრ ჟურავლევ (76 7205788).

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 41 და 38 ადამიანი შესაბამისად, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყოლია თანამშრომლები.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

### ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე შესადარისი მონაცემები მოცემულია 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მოთხოვნების შესაბამისად.

### შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მოითხოვება ასევე

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

**დაბეგვრა** - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

## 4. ამონაგები

კომპანია შემოსავალს იღებს საზღვარგარეთ გაწეული პროგრამული უზრუნველყოფის საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურებიდან. აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულმა ამონაგებმა 2024 და 2023 წლების განმავლობაში შეადგინა 7,873,366 ლარი და 7,064,676 ლარი შესაბამისად.

## 5. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ხარჯი  შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| ხელფასები | (5,379,392) | (4,534,239) |
| ბონუსები და სხვა სარგებელი | (654,899) | (967,732) |
| | **(6,034,291)** | **(5,501,971)** |

## 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები  წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| სერვერის ტესტირების ხარჯი | (97,379) | (120,103) |
| კომუნალური ხარჯი | (62,822) | (57,164) |
| საკონსულტაციო ხარჯი | (61,222) | (53,414) |
| საკომუნიკაციო ხარჯი | (24,001) | (21,988) |
| სამეურნეო ხარჯი | (13,351) | (7,864) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი | (5,917) | (580) |
| საგადასახადო ხარჯი | (4,347) | (7,363) |
| საპენსიო შენატანის ხარჯი | (1,948) | (2,402) |
| სხვა ხარჯები | (18,842) | (7,340) |
| | **(289,829)** | **(278,218)** |

## 7. იჯარის ხარჯი

კომპანია იჯარას იხდის საოფასე ფართზე. იჯარის თანხა თვის ჭრილში ფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში და 2023 და 2024 წლებში  შეადგინა 500,630 და 516,752 ლარი შესაბამისად. იჯარის ხარჯი მსს ფასის შესაბამისად აღიარებულია საოპერაციო იჯარად. არ ხდება ფასს 16-ის მიხედვით აქტივის გამოყენების უფლების გაანგარიშება.

## 8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ |
|---|---|---|---|
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **-** | **-** |
| შემოსვლა | - | 4,672 | 4,672 |
| გასვლა | - | - | - |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **4,672** | **4,672** |
| შემოსვლა | 27,695 | 3,548 | 31,243 |
| გასვლა | - | - | - |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **27,695** | **8,220** | **35,915** |
| | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | |
| **ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **-** | **-** |
| წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა | - | (580) | (580) |
| გასული ძირითადი საშუალების ცვეთა | - | - | - |
| **ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **(580)** | **(580)** |
| წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა | (3,369) | (2,548) | (5,917) |
| გასული ძირითადი საშუალების ცვეთა | - | - | - |
| **ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი** | **(3,369)** | **(3,128)** | **(6,497)** |
| | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | | | |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **-** | **-** |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **-** | **4,092** | **4,092** |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **24,326** | **5,092** | **29,418** |

## 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|
| **ფინანსური მოთხოვნები** | | | |
| სავაჭრო მოთხოვნები | 502,320 | 462,429 | 108,080 |
| **სულ ფინანსური მოთხოვნები** | **502,320** | **462,429** | **108,080** |
| | | | |
| **არაფინანსური მოთხოვნები** | | | |
| გადახდილი ავანსები | 93,499 | 45,655 | 105,827 |
| სხვა მოთხოვნები | 28,886 | 70 | - |
| **სულ არაფინანსური მოთხოვნები** | **122,385** | **45,725** | **105,827** |
| **სულ** | **624,705** | **508,154** | **213,907** |

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მოცემული სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს მიმდინარე მოთხოვნებს და იქიდან გამომდინარე რომ არაა ხანდაზმული, გაუფასურების ანარიცხები არაა შექმნილი.

## 10. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 633,814 | 106,917 | 8,015 |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1,979,562 | 1,313,149 | 275,091 |
| | **2,613,376** | **1,420,066** | **283,106** |

## 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება მხოლოდ ფინანსური ვალდებულებებისგან, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 8,848 | 19,064 | 1,595 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 861,046 | 649,363 | - |
| სხვა ვალდებულებები | - | 564 | - |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **869,894** | **668,991** | **1,595** |
| | | | |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **869,894** | **668,991** | **1,595** |

## 12. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. 2024, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 58,173 ლარი (ვალდებულება), 25,506 ლარი (ვალდებულება) და 21,170 ლარი (ვალდებულება) შესაბამისად.

## 13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიასა და მისი დაკავშირებული მხარის, რომელსაც წარმოადგენს Forsta AS, არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად წლების მიხედვით:

| | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|
| **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 502,320 | 462,429 | 108,080 |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | | |
| ამონაგები | 7,873,366 | 7,064,676 | 554,968 |

## 13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დირექტორების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|
| უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება* | 594,654 | 598,657 | - |

*კომპანიის დირექტორი ალექსანდრ ჟურავლევ დირექტორის პოზიციას იკავებს 2023 წლის ივლისიდან და ამავე პერიოდიდან არის წარმოდგენილი მისი ანაზღაურება.

## 14. პირობითი ვალდებულებები

### იურიდიული საკითხები

2024, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

### გადასახადები

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული მიდგომა შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

### დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 256,153 ლარი.

## 15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

### უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

| | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი | |
|---|---|---|
| | აშშ დოლარი | ევრო |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.8068 | 2.9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.6894 | 2.9753 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.7020 | 2.8844 |

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

**15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ამონაგები**

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული/გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

**ხელფასები და სხვა სარგებელი**

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**დაბეგვრა**

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა

**15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე კომპანიებისთვის კი გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 5%/95%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

დივიდენდების განაწილების გარდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

**ძირითადი საშუალებები**

***აღიარება და შეფასება***

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. კერძოდ:

- შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ

პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

***შემდგომი ხარჯები***

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის

**15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

*ცვეთა*

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.
ძირითადი საშუალებების მნიშნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

| ძირითადი საშუალებების კატეგორიები | სასარგებლო მომსახურების ვადები |
|---|---|
| კომპიუტერული ტექნიკა | 3-5 წელი |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 2-3 წელი |

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

**მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

**საკუთარი კაპიტალი**

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი

პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

**16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.